ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი **26.03.2026 წელი**
11:00 საათი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: თენგიზ ურუშაძე, ია მოქია, ვარლამ ჩხარტიშვილი, ბესიკ კვაჭანტირაძე, ლოლიტა ურუშაძე, ზაზა წულაძე, ელისო ჭიჭინაძე, გელა პატეიშვილი, გოგი მორჩილაძე, თორნიკე მითაიშვილი.
მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე**.
კომისიის წევრებმა ფეხზე ადგომით, წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს **ილია** II-ს ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე; 11. წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში ამავე კოდექსის

204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისთვის მოქმედი განაკვეთებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულოს ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის N10 დადგენილება.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე; 11. წინააღმდეგი: არცერთი.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა** მისი განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად, განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე; 11, წინააღმდეგი: არცერთი.

3. სხვადასხვა.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში უხვად არსებობს უსახური, ამორტიზირებული და რაც მთავარია ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში შენობები, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანზე. აღნიშნული შენობები ყოველდღიურად კარგავენ არამარტო იერსახეს არამედ ღირებულებასაც.

გამომდინარე აქედან იქნებ მომზადდეს საკრებულოს და მერის ერთობლივი წერილი და მსგავსი შენობა ნაგებობები გადმოეცეს მუნიციპალიტეტს შემდგომი განკარგვის უფლებით.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: **/გიორგი იმნაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N2

ქ. ლანჩხუთი **26. 03. 2026 წ.**

2026 წლის 26 მარტს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

26.03.2026 წელი
11: 00 საათზე.

N	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	10-55	
2.	თენგიზ ურუშაძე	10-55	
3.	ია მოქია	10-55	
4.	ელისო ჭიჭინაძე	10-00	
5.	ვარლამ ჩხარტიშვილი	10.00	
6.	ლოლიტა ურუშაძე	10.00	
7.	ზაზა წულაძე	10-55	
8.	გელა პატეიშვილი	10-00	
9.	ბესიკ კვაჭანტირაძე	10-00	
10	გოგი მორჩილაძე	10.00	
11	გიორგი ჩახვაძე	ან ესწრება	
12	ჯუმბერ ბლაგიძე	ან ესწრება	
13	თორნიკე მითაიშვილი	10-55.	თ. მითაიშვილი